დამტკიცებულია
ონის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის
21 ივნისის N1143 ბრძანებით

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა
სასპორტო სკოლის კომპლექსი“

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ ონის მუნიციპალიტეტის ბავშთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“ არის ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, საკუთარი მრგვალი ბეჭედი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
3. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“ დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ.
4. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ წესდებით და „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს შინაგანაწესით.
5. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“ მუშაობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „სპორტის შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილებით „ სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა“, საქართველოს კანონით „ ზოგადი განათლების შესახებ“, აგრეთვე, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.
6. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს იურიდიული მისამართია: ქალაქი ონი, ცენტრალური პარკის ტერიტორია, სპორტული კომპლექსი.

ელექტრონული ფოსტა: sasportoskoliskompleqsi@gmail.com

მუხლი 2. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს მიზნები

“ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს ძირითადი მიზნებია:

1. “ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს პროფილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა, მათი მეთოდური აღზრდა და სპორტული დოსტატება.

მუნიციპალიტეტის მერი
ე. საბანაძე

2. "ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი" პროფილის მიხედვით მუნიციპალიტეტის ნაკრები გუნდების შედგენა, პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროგრამების, გეგმების შემუშავება და წვრთვნების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველყოფა.

3. ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის უწყვეტი მომზადება.

4. საწვრთვნელო მუშაობაში თანამედროვე სიახლეების დანერგვა.

5. სკოლის პროფილის მიხედვით მუნიციპალური ღონისძიებების კალენდარის შემუშავება და მისი შესრულების უზრუნველყოფა.

6. რესპუბლიკურ და სართაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება, სპორტული გამოცდილების მიღების ხელშეწყობის, ბავშვებსა და მოზარდებში უკეთესი შედეგების მისაღწევად მოტივაციის ამაღლების მხარდაჭერის მიზნით.

7. მწვრთვნელთა კვალიფიაციის სისტემატიური ამაღლების ხელშეწყობა.

8. პროფილის მიხედვით ბავშვთა და მოზარდთა სპორტული განვითარებისათვის უწყვეტი, თანამიმდევრული მუშაობის უზრუნველყოფა, სპორტული უნარ - ჩვევების საფუძვლების სწავლება, ასაკის შესაბამისად, გარკვეულ საფეხურამდე, წარმატებულ სპორტსმენად აღზრდა.

9. ბავშვებსა და მოზარდებში სპორტის მიმართ ზოგადი უნარების სრულყოფა, რაც გამოიხატება:

ა)ბავშვთა და მოზარდთათვის ფიზიკური განვითარების, მოტორული უნარების განვითარების ხელშეწყობაში, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში და დამკვიდრებაში, ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობისა და საჭიროების გაცნობიერებაში და ორგანიზებულობის აღზრდაში;

ბ)ფიზიკური თვისებებისა და ტექნიკური ელემენტების განვითარების და გამოყენების უნარების აღზრდაში, რასაც აქტიურად გამოიყენებენ სპორტის ინდივიდუალურ და სათამაშო (გუნდური, ინდივიდუალური) სახეობებში;

გ)ფიზიკურ აქტივობებში ჩართულობის, როგორც ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სოციალიზაციის ხელშემწყობი საშუალების მნიშვნელობის გაცნობიერებაში;

დ) სპორტულ - გამჯანსაღებელი აქტივობების საშუალებით ორგანიზებულობის განვითარების, თვითკონტროლის, ემოციბის მართვის დისციპლინის, უსაფრთხოების, ძირითადი წესების და სამართლიანი თამაშის წესების დაცვის გამოვლენაში.

მუხლი 3."ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი"-ს სტრუქტურა

1. სკოლის სტრუქტურას შეადგენს: დირექტორი, მოადგილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), პროფილის მიხედვით სპორტული მიმართულების (განყოფილებების) ხელმძღვანელები, პედაგოგები (მწვრთვნელები), პედაგოგთა (მწვრთვნელთა) საბჭო.

მუნიციპალიტეტის მერი
ე. სანანაძე

2. სკოლაში ახალი სპორტული მიმართულების (განყოფილების), ასევე, სპორტული კლუბის გახსნა ხორციელდება დამფუძნებელთან შეთანხმების შემდეგ, შესაბამისი პედაგოგიური კადრებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობის შემთხვევაში.

მუხლი 4. "ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი"-ს მართვა

1."ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი"-ს საქმიანობას წარმართავს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის მერი.

2." ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი" -ს დირექტორი:

ა)ონის მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ნიშნავს და ათავისუფლებს განყოფილების უფროსებს და სხვა თანამშრომლებს, რომლებთანაც კანონის შესაბამიად აფორმებს შრომით ხელსეკრულებებს;

ბ) შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს, საშტატო განრიგს და სახელფასო ანაზღაურებას, რომელსაც დასატკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს;

გ) შეიმუშავებს და ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს;

დ) მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით, უფლებამოსილია შეიძინოს და გაასხვისოს „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი"-ს ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ძირითადი ქონება;

ე) კანონმდებლობიდან გამომდინარე დებს ხელშეკრულებებსა და გარიგებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ვ) მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ;

ზ) წარმართავს „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი"-ს საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის ეფექტურობასა და კანონიერებაზე. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი"-ს საკუთრებაში არსებული ქონების დაცვასა და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე;

თ) სისტემატიურად ზრუნავს სკოლის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე, ორგანიზებას უწევს სასწავლო სპორტულ საქმიანობას, იხილავს და პედაგოგიურ (სამწვრთვნელო) საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს განყოფილებათა სამუშაო გეგმებს, საჭიროების მიხედვით იძლევა რეკომენდაციებს მუშაობის სრულყოფასთან დაკავშირებულ და სკოლის საქმიანობიდან გამომდინარე სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე;

ი) ონის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს წინადადებებს სკოლის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე;

მუნიციპალიტეტის მერი
ე. საბანაძე

კ) იღებს გადაწყვეტილებებს თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

ლ) განსაკუთრებულ კონტროლზე აჰყავს ბავშვთა უსაფრთხოების საკითხები, როგორიცაა: ძალადობა, ბულინგი, ღრმა სამედიცინო შემოწმების საკითხები, ბავშვთა და მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებები, რაც პირდაპირ კავშირშია ფიზიკურ დატვირთვასთან და სხვა;

მ)კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ- სამართლებრივ აქტებს;

ნ) წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები, რაც საქართველოს კანონმდებლობით არ არის აკრძალული;

3. სკოლა შედგება განყოფილებებისაგან: „ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის“ განყოფილება და „ბავშვთა და მოზარდთა საჭიდაო სკოლის“ განყოფილება.

4. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელიც:

ა) წარმართავს განყოფილების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე;

ბ) დირექტორს წარუდგენს სპორტული ღონისძიებების გეგმას;

გ) ანაწილებს დავალებებს პედაგოგებს შორის, წარმართავს საქმიანობას ამ წესდებისა და შინაგანაწესის შესაბამისად;

დ) ამზადებს და დირექტორს წარუდგენს ანგარიშს გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით;

ე) აკონტროლებს ყოველდღიურ საწვრთვნელო მუშაობას, უზრუნველყოფს დაგეგმილი ღონისძიებების მაღალი პასუხისმგებლობით ჩატარებას;

ვ) სისტემატიურად აფასებს მწვრთვნელთა მუშაობას. სკოლის დირექტორს მიმართავს წინადადებებით მათთვის წამახალისებელი ღონისძიებების გასატარებლად.

5. “ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს სხვა თანამშრომლების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება “ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს შინაგანაწესით.

მუხლი 5.პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭოს ფუნქციები

1. “ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს პედაგოგთა (მწვრთვნელთა) საბჭოში შედის სკოლის ყველა პედაგოგი (მწვრთვნელი);

2. პედაგოგთა (მწვრთვნელთა) საბჭო:

ა) ამტკიცებს სკოლის მიერ შემუშავებულ სასწავლო და სასპორტო - საწვრთვნელ გეგმებს;

ბ) ისმენს განყოფილების ხელმძღვანელთა ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

მუნიციპალიტეტის მერი
ე. საბანაძე

გ) შეიმუშავებს რეკომენდაციებსა და წინადადებებს სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

დ) იხილავს სასპორტო - საწვრთვნელო მუშაობასთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებს;

ე) აკონტროლებს საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების შესრულებას.

მუხლი 6. ფინანსური სახსრები

1.„ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს ფინანსური წყაროებია:

ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები;

გ) ფინანსური სახსრები გამოიყენება ამ წესდებით დადგენილი მიზნების განხორციელებისთვის, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განმტკიცებისთვის, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხების მოგვარებისთვის.

მუხლი 7. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი''-ს ზედამხედველობა

1. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს მუშაობაზე ზედამხედველობა გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონთან მიმართებაში მიზანშეწონილობის, მუშაობის ეფექტურობის, საფინანსო - ეკონომიური საქმიანობის ზედამხედველობას;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ზედამხედველობას ახორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით;

3. მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია გამოითხოვოს მასალები და ინფორმაციები ან შესაბამისი სამსახურის მეშვეობით ადგილზე შეისწავლოს სასპორტო სკოლის კომპლექსის საქმიანობა.

მუხლი 8. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. .არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ანხორციელებს ონის მუნიციპალიტეტის მერი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განკარგვა მოხდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტის მერი
ე. საბანაძე

მუხლი 9. „ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სასპორტო სკოლის“ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

1.“ონის მუნიციპალიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სასპორტო სკოლის კომპლექსი“-ს წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ონის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუნიციპალიტეტის მერი
ე. საბანაძე

ონის მუნიციპალიტეტის მერია
საქართველო GEORGIA
ONI MUNICIPALITY CITY HALL
237978275